პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 21 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

187 (885) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მანევრების დრო მოახლოვდა. მზად იყავ!

რამოდენიმე დღის შემდეგ დაიწყება ჩვენი ძირითადი ნაწილების მანევრებზე გასვლა. ეს იქნება ჩვენი წითელი ჯარის მიღწევების საფუძვლიანი გასინჯვა და შემოწმება. მანევრებმა ჩვენ უნდა დაგვანახოს, თუ რამდენათ გაწვრთნილი და მომზადებულია ჩვენი წითელი ჯარი სამხედრო და პოლიტიკურ დარგში.

ამიტომაც მანევრების ნაყოფიერობა და წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია თითეული წითელი მებრძოლის ენერგიისა, გამძლეობის, შეუდრეკლობის და მუყაითობისაგან.

თითეულ მებრძოლმა თავის ამოცანად უნდა დაისახოს მტკიცედ, სწრაფად და სისწორით შეასრულოს ყოველგვარი დავალება მანევრების დროს. ეს კი არც ისე ადვილი საქმეა, ვინაიდან მანევრების წარმოება ბევრ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, როგორც მთაგორიანი ადგილები, სიცხეები და სხვა.

მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარი სიძნელეებისა და პირობების სირთულისა, ეს მანევრები ჩვენმა ახალგაზრდა ქართულ წითელ ჯარმა ბრწყინვალედ უნდა ჩაატაროს.

გამოცდები ჩინებულად უნდა ჩავაბაროთ.

თითეულმა წითელ მებრძოლმა მანევრებზე საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ ის მართლაც მომზადებული მებრძოლია, რომ ის მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინის მატარებელია, რომ მას მუდამ და ყოველთვის მშვიდობიან დროს თუ ლაშქრობისას შეუძლია მჭიდრო კავშირი იქონიოს მოსახლეობასთან და სარგებლობდეს მისი ნდობითა და ყოველგვარი დახმარებით.

მიღწევებთან ერთად ცხადია მანევრებზე გამოაშკარავდება ჩვენი ნაკლულევანებებიც. არავითარ შემთხვევაში მათ გვერდი არ უნდა აუხვიოთ და უყურადღებოთ არ უნდა დავსტოვოთ.

პირიქით თითეული ნაკლი, თითეული დეფექტი აღნიშნული უნდა იქმნას და შემდეგში გასწორებული. თითეულ მებრძოლმა, თეთეულ მეთაურმა და პოლიტმომუშავემ ყოველ მხრივ უნდა გასინჯოს მისი ნამუშევარი და მიღწევებთან ერთად ნაკლულევანებსაც ხაზი უნდა გაუსვას, რათა მათი გამოსწორება მომავალში უფრო გაადვილდეს.

ამრიგად მანევრების დრო მოახლოვდა.

წითელო მებრძოლო! დაამტკიცე, რომ შენ ჯეროვნად მომზადებული ხარ, რომ მუდამ და ყოველთვის შენ შეგიძლია საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელთა თავისუფლების ღირსეულად დაცვა.

## „გერმანიის ბურჟუაზია ჩვენი ზრდის შესახებ“.

„პრავდას“ წერილი.

ამ სათაურით გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულია წერილი რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „უცხოეთის ბურჟუაზიას უკანასკნელ დრომდი არ სურდა ეცნო ჩვენი მიღწევები. დღეს, როცა სიბრმავისა და სიჩუმის შეთქმულობა საბოლოოდ დარღვეულია, ბურჟუაზია უკვე იძულებულია ანგარიში გაუწიოს ჩვენს წასულ საფეხურებს.

ფრანკფურტის გაზეთის ერთი კორესპონდენტი გაკვირვებული ამბობს: „მოსკოვი ცხოვრობს და უნდა იცხოვროს კიდევ უფრო ინტენსიურად (გაძლიერებულად); რა ცვლილებაა 3 წლის განმავლობაში!“

იმავე გაზეთის წერილებში, რომლებიც სპეციალურად არიან მიძღვნილი საბჭოთა კავშირის დგომარეობისადმი, ჩვენ ვკითხულობთ:

„მეურნეობის მხრივ უკრაინაში ისეთივე მდგომარეობაა, როგორც დანარჩენ რუსეთში. ჩვენ ვერ მოვიშორებთ იმ შთაბეჭდილებას, რომ საქმე წინ მიდის მის შემდეგ, როცა ძლეულ იქნა უმძიმესი დაბრკოლებები.“

არ მოვიყვანთ სხვა ამონაწერებს გერმანიის სხვა ბურჟუაზიულ გაზეთებიდან. ყველა ისინი აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირი ძლიერდება ყოველ დარგში და ყოველგან შემჩნეულია აღმშენებლობითი ენერგია, აღორძინების გზის მთავარი სიძნელენი დაძლეულია, ყალიბდებიან სულ ახალი ტიპის ადამიანები და სხვა.

მაგრამ სცნობს რა ჩვენს წარმატებებს „ფოსოვა გაზეტა“ წინასწარმეტყველობს: „ბოლშევიკები დამარცხდებიან მეურნეობის ცენტრალურ წარმოებაში, მათ მოუხდებათ მრავალ დათმობაზე წასვლა კერძო კაპიტალის წინაშე. მოხდება გათიშვა სოციალისტურად წარმოებულ სამრეწველო მეურნეობასა და მილიონ წვრილ საგლეხო მეურნეობათა შორის“.

ჩვენ ვბედავთ ვაუწყოთ ბატონ, საბჭოთა კავშირის კაპიტალისტურ მიმომხილველთ, რომ აღმშენებლობის სიძნელეს ჩვენ ვიცნობთ და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ არ მოხდეს განშორება ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა კლასსა და გლეხობის შორის. „უმთავრესი სიძნელენი დაძლეულია“ და დაძლეულია სწორედ მეურნეობის ამ ცენტრალისტურ-სოციალისტური მეთოდის მეოხებით“.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

### კანტონის მთავრობამ აუკრძალა ინგლისის გემებს ჩინეთის ნავთსადგურებში შესვლა-გამოსვლა.

კანტონის მთავრობამ აუკრძალა ინგლისის გემებს ჩინეთის ნავთსადგურებში შესვლა-გამოსვლა.

ინგლისის მთავრობამ ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

იქ სასწრაფოდ გაემგზავრა ინგლისის ვიცე-ადმირალი სინკლერი, რომელიც მიიღებს ზომებს, რათა დაიცოს ინგლისის ნაოსნობა.

## რურიდან მაროკოში.

მიღებულ ცნობების თანახმად რურიდან გაყვანილი საფრანგეთის ფერადი ჯარები იგზავნებიან მაროკოში. მათგან სდგება 100 ათასეული, რომლიდანაც 72 გაიგზავნება ფრონტზე, ხოლო 28 დარჩება მარქაფში.

## ყვითლები შეწუხებული არიან კომუნისტური გავლენის ზრდით აღმოსავლეთში.

### სრულიად აზიის პროფკავშირთა კონგრესი.

ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალი შეწუხებულია კომუნისტური მოძრაობის წარმატებით აღმოსავლეთ აზიაში და განზრახული აქვს მოიწვიოს პროფკავშირთა სრულიად აზიის კონგრესი.

„ინტერნაციონალე პრეს“ სწერს, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს სურს გააძლიეროს თავისი გავლენა, რომლითაც სარგებლობს აღმოსავლეთში წითელი ინტერნაციონალი.

## მომაკვდავთა გიჟური ბოდვა.

რუსეთის ყოფილ სენატორების კავშირმა საზღვარ გარედ განაცხადა მხარი დაუჭირონ თავად ნიკოლოზ ნიკოლოზისძის კანდიდატურას „რუსეთის ტახტზე“.

„პარიზის უწყების“ ცნობით კავშირმა დიდის ზეიმით გამოაცხადა, რომ „რუსეთში არსებული საბჭოთა წესწყობილება უკანონოა-“ო

## ცხოვრებისგან გარიყულთა ექსკურსია.

### „ჩვენ არ გვინდა ყოფილი ჟანდარმები და ჯალათები.“

რუს მონარქისტებმა დაჰკარგეს იმედი ნებართვის მიღებისა ამერიკაში შესვლის შესახებ და დაიწყეს არგენტინაში გადასვლა. ამის გამო არგენტინაში მცხოვრებმა სხვა ეროვნებებმა პროტესტი განაცხადეს: „ჩვენ არ გვინდა ყოფილი ჟანდარმები და ჯალათები, რომლებიც მოსწამლავენ არგენტინას ეროვნული მტრობის შხამით.“

## პოლონეთის სოციალისტების ცილისწამების კამპანია.

პოლონეთის სოციალისტების პარტია ავრცელებს ხმებს, თითქოს პარტიის ზოგიერთმა წევრმა მიიღო სიკვდილის მუქარის წერილი კომუნისტებისაგან და რომ პოლონელ კომუნისტებს დირექტივებს და დახმარებას აძლევს საბჭოთა საელჩო.

ამ ხმების საწინაალმდეგოდ პოლონეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა სხვა და სხვა გაზეთებში გამაბათილებელი ცნობა.

## პოლონეთის სოციალისტების ჯალათები.

ვარშავაში გაიმართა მელითონე მუშათა მიტინგი, რის შემდეგაც მუშები ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა დაშლის დროს ერთმა ახალგაზრდა მელითონემ, რომელსაც წითელი დროშა მიჰქონდა, დაიძახა: „დიდება გმირ ბოტვინს, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!“

პოლონეთის სოციალისტების რაზმელთა ერთი ჯგუფი მივარდა მას და დაუწყო უწყალოდ ცემა ჯოხით, სანამ არ ჩაერია კერძო პირები და ხელიდან არ გამოგლიჯეს ცოცხალ,-მკვდარი ყმაწვილი სოციალისტ ჯალათებს.

## 15-ს გასამართლება.

რადომის საოლქო სასამართლოში დაიწყო 15 კაცის საქმე, რომელთაც ბრალს სდებენ კომუნისტობასა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებაში. გამოწვეულია ბრალდებულთა მხრივ 21 მოწმე და 114 დამცველთა მხრივ.

## ამუნდსენი ემზადება ახალი ექსპედიციისათვის.

ნორვეგიის გაზეთების ცნობით ამუნდსენს განზრახული აქვს მომავალ ზაფხულზე მოაწყოს ახალი ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისკენ. ექსპედიციისთვის საჭირო თანხა 150 ათასი დოლარი დაგროვილია კერძო შემოწირულებით.

## უბედური შემთხვევები ბუნების მოვლენის გამო.

### გრიგალმა დაანგრია რამოდენიმე ქალაქი და სოფელი და იმსხვერპლა აუარება ხალხი.

ჰოლანდიაზე გადაიარა საშინელ გრიგალმა კოკისპირული წვიმით. განადგურებულია რამოდენიმე ქალაქი და სოფელი. ლიანდაგზე გადავარდა მრავალი მატარებელი. დაიღუპა აუარება ხალხი. დაინგრა სახლები. გრიგალმა გაანადგურა აუარება ნათესი. ზარალი დიდია.

## აროშარის შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირიდან.

ფრანგული გაზეთი „პტი პარიზიენი“ აქვეყნებს საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ მფრინავის შთაბეჭდილებებს.

აროშარი აქცევს ყურადღებას კარგად დამუშავებულ საბჭოთა კავშირის მინდვრებს და ქებით იხსენიებს იმ გულითად მიღებას, რომლითაც შეხვდა მას საბჭოთა ავიაცია და მასთან ერთად აღნიშნავს სამაგალითო წესრიგს მოსკოვში.

# საბჭოთა კავშირში

## საკავშირო ავტო-გადარბენა.



გადარბენის ტეხნიკურ კომისიის თავმჯდომარე პროფ. ნ. რ. ბრილინგ.

18 ავგისტოს ლენინგრადიდან დაიწყო საერთო საკავშირო საავტომობილო გადარბენა. გადარბენის წინ სიტყვა წარმოსთქვა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლიტვინ სედოიმ და სხვებმა.

გადარბენაში მონაწილეობას იღებს საზღვარ გარედ კარგად ცნობილი ჯომარდი—ავტომობილისტი—სტინესის ქალი. 18 ავგისტოს ავტომობილები იქნებიან ნოვგოროდში და მეორე დღეს გაუდგებიან მოსკოვის გზას. ავტომობილები ტფილისში ჩამოვლენ ამ თვის ბოლოში.

ვიშნი ვოლოჩკიდან ტვერისკენ ავტომობილთა პირველი რიგი უცებ წაელეწა ორ გლეხ ქალს, რომლებიც მძიმედ დაიჭრა. ავტომობილი გადავარდა თხრილში. ზედმჯდომნი უვნებლად გადარჩენ. 20 ავგისტოს გავიდა ავტომობილები ტვერიდან მოსკოვისაკენ.

## უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია.

### დელეგატები განათლების კომისარიატში.

19 ავგისტოს უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია ესტუმრა განათლების კომისარიატს.

დელეგატებს ფრანგულ ენაზე მიესალმა განათლების კომისარი ამხ. ლუნაჩარსკი და გააცნო ისინი საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების მდგომარეობას. მან აღნიშნა მასწავლებელთა თავდადებული მუშობა რევოლიუციის მძიმე წლებში და დღევანდელი მათი მდგომარეობა.

ლუნაჩარსკის შემდეგ ილაპარაკა გერმანელ მასწავლებელმა ქალმა, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიაში საჭიროა ბრძოლა, რათა მასწავლებლობა ჩაბმულ იქნას პოლიტიკაში, მასწავლებლობა უნდა მიდიოდეს მუშათა კლასთან.

## სამეცნიერო აკადემიის 200 წლის იუბილეისთვის.

სამეცნიერო აკადემია უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ექსპედიციების და არქეოლოგიური გათხრების საშუალებით შეისწავლის სხვა და სხვა ქვეყნებს, მხარეებს, მოსახლეობას მათ ენას, ზნე-ჩვეულებებს, კულტურულ დონეს და სხვ. და მათი საშუალებით იგებს თუ რა საფეხური გაიარა კაცობრიობამ, ან ამა თუ იმ



სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ლ. პ. კარპინსკი.

ერმა თავის განვითარების პროცესში.

წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემია იხდის იუბილეს თავის არსებობის 200 წლის თავზე და სხვა და სხვა ქვეყნებიდან მოეშურებიან მეცნიერები ამ იუბილეზე დასასწრებლად.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ აკადემია განაგრძობს საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობას და დიდ დახმარებას უწევს ზოგიერთ მის უმაღლეს ორგანოებს სხვა და სხვა საკითხების მოგვარებაში.

დღეს ის ითვლება საკავშირო სამეცნიერო აკადემიად და ჩვენ დარწმუნებული ვართ ამის შემდეგ ის გააძლიერებს თავის მუშაობას ს. ს. რ. კავშირის განაპირა, კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა შესასწავლად და მით ხელს შეუწყობს მათი სათანადო კულტურულ დონეზე დაყენების საქმეს.

რაც შეეხება ჩვენი აკადემიის სტუმრებს, რომლებიც დაესწრებიან იუბილეს, ისინი დარწმუნდებიან მასში, რომ საბჭოთა სოც. რესპ. კავშირი, რომელსაც განაგებს მუშები და გლეხები, ბარბაროსული და უფსკრულში გადაჩეხილი ქვეყანა კი არაა, არამედ კულტურული, მეურნეობის მხრივ მოზარდი და შრომისა და განათლების მხარე.

ვ.

## უცხოელი მასწავლებლები საბჭოთა სკოლისა და მასწავლებლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში უცხოელ მასწავლებლებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი საბჭოთა სკოლისა და მასწავლებლობის შესახებ.

ლიონის უპარტიო მასწავლებელმა ქალმა ემილია დიუფურმა აღნიშნა, რომ დელეგატები შეეცდებიან გადაიღონ რუს ამხანაგებისაგან ახალი პედაგოგიური ხერხი.

გასტონ დიურანმა აღნიშნა, რომ საბჭოთა შრომის სკოლა გაცილებით მაღლა სდგას დასავლეთისაზე, ის შექმნილია პროლეტარიატისთვის.

საერთოდ ყველა დელეგატები აღტაცებით აღნიშნავენ საბჭოთა მიღწევებს სახალხო განათლების საქმეში.

## ემზადე მანევრებისათვის.

### უნდა იცოდე ჰაეროპლანების წინააღმდეგ ბრძოლა.

მომავალ მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ყველა გვარი იარაღის ჯარები: აქ იქნება ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია, ჯავშნოსანი ნაწილები, მესანგრე ჯარები, საკავშირო ნაწილები, ავიაცია და იქნებიან აგრეთვე ქიმიის ინსტრუქტორები, რომლებიც თავის სპეციალობის და მ ხედვით შეამოწმებენ მეომართა მომზადების დონეს ქიმიურ (აირით) იერიში (რა თქმა უნდა პირობითი იქნება).

სამანევრო ცხოვრების ყოველ შემთხვევაში მეომარს მოუხდება დაუკავშიროს თავისი მოქმედება სხვა გვარი ჯარების მოქმედებას, იცნობდეს მუშაობას, საფრთხისა და ბრძოლის ხარისხს ამა თუ იმ გვარი იარაღის ჯარების წინააღმდეგ.

მანევრებში მონაწილე სხვა და სხვა გვარი იარაღის ჯარებს შორის არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება ავიაციას, რომელიც მანევრის პირველი დღეებიდანვე შეეცდება მეტი უსიამოვნება მიაყენოს მტერს.

ეს უსიამოვნება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ჰაეროპლანები დაუწყებენ ძებნას მტრის მოძრავ ან დასვენებულ ჯარის ნაწილებს, გაიგებს მათ შემადგენლობასა და ძალას და დაასმენს თავის უფროსებს, რაც, უსათუოდ, ბევრად შეუმსუბუქებს მტერს თავისი ამოცანების შესრულებას.

ხშირად ჰაეროპლანები ბომბებსაც ჩამოჰყრიან, რათა შეაფერხონ კოლონების მოძრაობა, დაუშენენ აგრეთვე ბომბებს საბარგულეებს, მოძრავ რკინისგზის შემადგენლობას, სადგურს და ცეცხლის მასალების, იარაღებისა და სხვა სურსათ სანოვაგის საწყობებს.

რომ მტრის ჰაეროპლანებს წარმატებით ებრძოლო, საჭიროა პირველყოვლისა გყავდეს საკუთარი თვითმფრინავები (რომლებიც რა თქმა უნდა გვეყოლება). ისინი შეეცდებიან ხელი შეუშალონ მტრის ფოლადის ფრინველებს და არ გააჭაჭანონ ჩვენს პოზიციაზე.

მაგრამ ეს ცოტაა. ხშირად მტრის ჰაეროპლანს შეუძლია თავს დაესხას იმ ჯარის ნაწილებს, რომლებსაც იმ დროს არ ეყოლება თავისი ჰაეროპლანები მტრის ჰაეროპლანებთან საბრძოლველად.

ასეთ შემთხვევებში თვით ჯარებს მოუხდებათ მიიღონ რაიმე ზომები ჰაერის მტრისაგან თავის დასაცავად. მტრის ჰაეროპლანისაგან თავდაცვის უბრალო და ადვილი საშუალება—ეს არის შენიღბვა და თვალთვალი ჰაეროპლანებზე.

ყოველთვის, მოძრაობის, დაბანაკების, ზვერვის, ბრძოლის მოგერიების და უკან დახევის დროს საჭიროა თვალყური ადევნო ჰაერს და მტრის ჰეროპლანების გამოჩენისთანავე უნდა მიიღო ზომები და შენიღბო მეომრები, ცხენები, იარაღები, საბარგულეები და სხვა საგნები, რომელთა დანახვითაც მტერს შეეძლება ჯარის მოთავსების აღმოჩენა.

ეს უნდა ახსოვდეს მეომარს და ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ შორს გამოჩენილი ჰაეროპლანი 7—10 წუთის განმავლობაში მოექცევა თავზე მას და სულ ყველაფერს დაინახავს.

ი. ბარ.

## საინსპექტორო სროლა.

სროლის საქმე არმიის მომზადებაში სწავლების მეტად საპასუხისმგებლო განყოფილებაა. განსაკუთრებით კარგად უნდა იქნან მომზადებული ქვეითი მეომრები. ეს მეტად საჭიროა ქვეითისთვის (აგრეთვე ცხენოსნისთვის) იმიტომ, რათა ბრძოლის დროს თავისი მარჯვე ცეცხლით შეეძლოს მტრის ჩაჩუმება. თუ რომ ამას ქვეითი მეომარი (ცხენოსანი) ვერ შესძლებს, ბრძოლის შედეგიც უნუგეშო იქნება.

ეძლევა რა სროლის მომზადების საქმეს ასეთი დიდი მნიშვნელობა, სწავლების ნორმალურ გეგმაში დათმობილი აქვს საკმაო დრო როგორც სროლის საქმის თეორიას, ისე პრაქტიკას, რომელიც მეტ ნაწილად მდგომარეობს დასაწყის, პრაქტიკულ და საბრძოლო სროლაში.

ზაფხულის განმავლობაში ჯარის ნაწილებმა გაიარეს პირველი საფეხურის ყველა დაწყებითი და პრაქტიკული სროლები.

ეხლა ზაფხულის სწავლება თავდება მანევრებით; ამიტომ არმიის სარდლობის წინაშე დადგა საკითხი ზაფხულის პერიოდის სასროლო მომზადების გასინჯვის შესახებ.

სროლის საქმის გასინჯვის ერთი საშუალებათაგანია საინსპექტორო სროლა, რომელიც არმიისადმი ბრძანებით დანიშნულია 18—24 ავგისტომდი.

რაში გამოიხატება ეს საინსპექტორო სროლა? ეს მდგომარეობს იმაში, რომ არმიისადმი ბრძანებით დანიშნული კომისიები ჩაატარებენ მთელ რიგ სროლას თვითეულ ჯარის ნაწილში, რის შედეგად გამოჩენილ იქნება როგორც მეომართა, ისე მეთაურ პოლიტშემადგენლობის მომზადება სროლის საქმეში.

ამასთან სათანადო ყურადღება მიექცევა სროლის ასრულებას, რომელიც გათვალისწინებულია ნორმალურ გეგმით (ბრძანება არმიისადმი № 210 და მასზე დანართი).

ამ სროლისთვის მზადება საჭირო არ არის. მთელი მომზადება გამოიხატება იმაში, რომ თვითეულმა მეომარმა უნდა იცოდეს საინსპექტორო სროლის დანიშნულება, ნაკლებად ნერვიულობდეს სროლის დროს, მოხდომებითა და სრულიად შეგნებულად მოეპყრას სროლას და თავისუფლად წარსდგეს ინსპექტორების წინაშე თავის სასროლო მომზადების გამოჩენის მიზნით.

ი. ბარ.

## საკლუბო მუშაობა ტერ-შეკრების დროს.

მე-2-ე ქართულ დივიზიის ნაწილებს, ახლო მომავალში, მოუხდებათ საკლუბო მუშაობის ჩატარება ტერიტორიალურ შეკრების პერიოდში. ვინაიდგან ტერიტორიალური შეკრებ ჩვენს სინამდვილეში ხდება პირველათ, ამიტომ საკლუბო მუშაობის ჩატარება ამ პერიოდში გაუძნელდებათ ნაწილებს, რადგან არავითარი გამოცდილება ასეთი მუშაობისა მათ არა აქვთ.

რომ ნაკლები შეცდომები იქმნას დაშვებული საკლუბო მუშაობაში და ამ მუშაობისათვის მოცემული დრო მაქსიმალურათ იქმნას გამოყენებული, ამიტომ საჭიროა გაუკეთდეს ამ მუშაობას ერთგვარი ანალიზი. საჭიროა თვითეულმა კლუბის მომუშავემ ასწონ-დასწონოს ეს მუშაობა და ნათლათ წარმოიდგინოს, თუ რა უნდა გააკეთოს კლუბმა შეკრების პერიოდში.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ ის მიზნები და ამოცანები, რომლებიც წინ უდგია საკლუბო მუშაობას შეკრების პერიოდში. ცხადია, ეს მიზნები და ამოცანები საგრძნობლად განსხვავდებიან საერთო საკლუბო მიზნების და ამოცანებისაგან. თუ საერთო საკლუბო მუშაობის მიზანს შეადგენს წითელ არმიელის აღზრდა, შეკრების პერიოდში საკლუბო მუშაობა ასეთ ფართე მიზანს ვერ დაისახავს, ვინაიდან ერთი თვის განმავლობაში წითელ არმიელის აღზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაშ, რას უნდა ემსახურებოდეს საკლუბო მუშაობა ამ ერთი თვის განმავლობაში?

საკლუბო მუშაობის ამოცანას შეკრების პერიოდში შეადგენს:

ა) შევაგნებინოთ ტერ-არმიელს, რომ ის არის ისეთივე მეომარი მთლიან წითელ არმიისა, როგორიც არის ძირითად ნაწილის წითელ არმიელი, იმისდამიუხედავათ, რომ ის წელიწადში მარტო ერთი თვე არის ყაზარმაში.

ბ) კლუბმა უნდა გაუღვიძოს ტერ-არმიელს საზოგადოებრივი მუშაობის ხალისი, რათა სახლში წასვლის შემდეგ ჩაებას სოფლის კულტურულ მუშაობაში.

გ) კლუბი უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება მეტი ტერ-არმიელი მოამზადოს სამხედრო საქმის პოპულიარიზაციისათვის სოფლათ.

დ) შეძლებისდაგვარათ კლუბმა უნდა მიაწოდოს ყველა ის ცნობანი, რომლებიც ესაჭიროება გლეხს სოფლის ცხოვრების პირობებში.

აღნიშნული ამოცანები კლუბმა უნდა განახორციელოს, უკვე ჩვენთვის ნაცნობ, საკლუბო მუშაობის ფორმების საშვალებით, ე. ი. დაწყებითი მუშაობით (ლენკუთხეებში) მასიური და ნაწილობრივათ საწრეო მუშაობით.

ლენკუთხეებში, ნაწილებში ძველ წითელ არმიელებისაგან უკვე შემდგარ ბირთვების საშვალებით ყოველდღიურათ უნდა ვაწარმოვოთ მუშაობა, რომელიც გამოიხატება: გაზეთების და წიგნების ხმა-მაღალ კითხვაში, ტერ-წყობილების და სასოფლო-მეურნეობის შესახებ საუბრების მოწყობაში, ბუნდოვან სურათების და შუქის გაზეთის ჩვენებაში, სამხედრო და სასოფლო მეურნეობის დარგიდან, სხვა და სხვა სამხედრო და პოლიტიკური თამაშის მოწყობაში, როგორიც არიან: პოლიტ-ლოტარეია, პოლიტ-ნეხკავი, პოლიტ-აუქციონი, ლოტო და სხვა. ექსკურსიების მოწყობაში ფაბრიკა-ქარხნებში, მუზეუმებში და სხვა.

ტ. წვენიევი.

(გაგრძელება იქნება).

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას ტერ-ნაწილების ჩამოყალიბებაში.

ქ. ჭიათურაში 9 აგვისტოს მოწვეულ იქნა ჭიათურის რაიონში შემავალ თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა კრება, სადაც დღის წესრიგში დასმული იყო: 1) მოხსენება ტერ-ნაწილების მნიშვნელობაზე და რწმუნებულების დანიშვნის შესახებ და 2) 1901 წელში დაბადებულთა ტერ-შეკრება.

პირველ საკითხზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. ბაღათურიამ, რომელმაც აღნიშნა ტერ-ნაწილების მოწყობის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური მნიშვნელობა.

მომხსენებელმა ფართოდ გააშუქა თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ თემ-აღმასკომების თავმჯდომარეებმა ამ საქმეში და როგორი დახმარება უნდა გაუწიონ ტერ-სისტემის ცხოვრებაში უმტკივნეულოდ გატარებას. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ყველა თემებში თითო რწმუნებულის დანიშვნის მნიშვნელობას.

მეორე საკითხზედაც მოხსენებას აკეთებს იგივე ამხ-გი და აცნობს კრებას ამ პირველი ტერ-შეკრების დანიშნულებას.

ორივე საკითხის ირგვლივ გამოტანილ იქნა დადგენილება, სადაც აღმასკომების თავმჯდომარეები ვალდებულად ხდიან თავიანთ თავს გაუწიონ დახმარება ტერ-სისტემის ბრწყინვალედ ჩატარებას.

დამსწრე ივ. დარბაიძე.

## ახალი მეთაურები ჩვენთან.

მეექვსე ტერ-ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს შემოემატა ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის კურს-დამთავრებული წითელი მეთაურები რიცხვით 25 კაცი, რომლებიც უკვე განაწილებულ იქნენ თავ-თავიანთ ასეულებში. აღნიშნული წითელი მეთაურები საკმაოდ გათვითცნობიერებულნი მოევლინენ ჩვენს ნაწილს, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საქმეში. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ რომ ისინი თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას მოახმარებენ ჩვენი ლეგიონის წითელ არმიელთა გათვითცნობიერების საქმეს და გაამართლებენ იმ იმედს, რომელსაც მათზე ამყარებს როგორც დივიზია, ისე ჩვენი ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობა და წითელ-არმიელები.

სამხკორი ჭინც არის.

## როგორ ჩავატარეთ პირველი მანევრები.

მე 5 ლეგიონი.

13 აგვისტოს, საღამოს 3 საათზე, ჩვენს სკოლაში მოხდა განგაში. 40 წუთში ყველა მზათ ვიყავით და ყველაფერი რიგზე გვქონდა მოწყობილი. დაგვირიგეს ვაზნები.

გაისმის ხმა: მივდივართ მანევრებზე, კურსანტებს სახეზედ ღიმილი მოსდით და უცდიან ბრძანებას დანიშნულ ადგილისაკენ გასამგზავრებლად. ჯერ კიდევ ბნელა.

წვიმა ოდნავ სცრიდა. 4 საათზე უკვე მივდივართ №-ის ძველი გზით. გზაზე ტალახია. მაგრამ ჩვენი სვლა ამით მაინც არ ბრკოლდება.

ვისვენებთ ერთ ადგილას. აქ გვიხსნის სკოლის უფროსი ამოცანას. ჩვენი მოწინააღმდეგე ლეგიონის პირველი ათასეული, რომელიც შემოსულია №-ში. ჩვენი ამოცანაა გავმაგრდეთ №-ის წყალ გაღმა და ვაწარმოოთ თავდაცვა. 7 საათზე უკვე დანიშნულ ადგილზე ვართ. ამინდი ისევ წვიმიანია. ჩვენი ოცეულები და ათეულები იშლებიან და იჭერენ თავიანთ ადგილებს. ტყვიამფრქვევები ეწყობიან შესაფერ ადგილებზე. კურსანტებში მხიარულებაა და გამარჯვების იმედი, მიუხედავათ იმისა, რომ მოწინააღმდეგე მთელი ათასეულია საკავშირო ათეულით. ჩვენ კი ერთი ასეული ვართ. გასულია. მზვერავები. 8 საათია.

მოწინააღმდეგე არ სჩანს. კურსანტებს მოუთმენლობა ეტყობათ, ამინდი გამოკეთდა.

მზემ ამოანათა. მოწინააღმდეგემ შემოგვიტია მარჯვენა ფრთაზე, შეიქნა გაცხარებული სროლა, ამოქმედდენ ტყვიამფრქვევები.

მოწინააღმდეგე შემოიჭრა ჩვენს ხაზში.

ამ დროს მარჯვენა ფრთამ დასძახა „ურა" და ტყვეთ ჩაგვივარდა მესამე ასეულის ორმაცდა ათი კაცი, ერთი ოცეულის მეთაური და ერთი პოლიტხელი. მოწინააღმდეგემ ტყვედ ჩაიგდო ჩვენი სამი მზვერავი. შემოდის ლეგ. მეთაური. ბრძოლა თავდება. ყველა ნაწილები ერთ ადგილას თავს იყრიან. აქ გვხვდება მუსიკა და მთელი უფშემადგენლობა.

აქედან მივემგზავრებით სოფელ №-ში მუსიკით და სიმღერით.

დღის ორ საათზე უკვე სოფელში ვართ. აქ მივიღეთ სადილი. ვისვენებთ კიდევ ორ საათს. აქედან შემდეგ მივდივართ ქალაქში.

თავს დაუღალავად ვგრძნობთ.

8 საათზე უკვე ყაზარმაში ვართ.

ამ მანევრებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

სამხკორი გ—ნი.

## ჩვენი საქმიანობა.

მეხუთე ლეგიონის მეორე ასეული.

უკვე ორი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც მეხუთე ლეგიონის მეორე ასეულში შევიკრიბეთ საკმაო რიცხვი ცვალებადებისა.

ჩვენ ყველა დაუსვენრათ ვმეცადინეობთ და კარგათ ვითვისებთ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და სასკოლო საქმეს, რომ მალე დავბრუნდეთ ჩვენ-ჩვენ სოფელში და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სოფლის კულტურულად და ეკონომიურად წინ წაწევის საქმეში.

ჩვენი ნაწილის მეთაურებიც ენერგიულად ეკიდებიან საქმეს. პროგრამა, რომელიც კი გაგვატარეს დღემდე ასი პროცენტით ჩვენთვის გასაგებია.

ცვალებადელნი ძლიერ მოხარული და მადლიერი არიან მეთაურთა მათდამი კარგი მოპყრობისა და დაუღალავი მუშაობის გამო.

სამხკორი ალგიჯო.

## დავათვალიერეთ დეპო.

მე-4 ლეგ. მე-2 ათასეული.

15 აგვისტოს გავემგზავრეთ მთელი ათასეულის შემადგენლობა შორაპნის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, სადაც დ დი სიხარულით შემოგვეგებნენ მუშები. მაშინვე შეგვიყვანეს სახელოსნოში და თავიდან იწყეს ახსნა განმარტება ყოველივე იმ ნაწილებისა, რომლებიც კი დეპოში იყო.

წ. არმიელები დიდი დაინტერესებით ათვალიერებდენ დეპოს და ძალიან ყურადღებითაც ისმენდენ მუშების ახსნა-განმარტებას. დათვალიერებამ გასტანა რამოდენიმე საათი. რის შემდეგ ტერ-არმიელები დიდი კმაყოფილი დაბრუნდენ თავ თავიანთ ნაწილებში.

ამ ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

სამხკორი ი. გურგენიძე.

## მადლობის ღირსია ასეთი მეთაური.

მე-2 ქ. მ. დ. შტაბის ასეულის წითელ არმიელებს დიდის ყურადღებით ეპყრობა ამხ. დიანოვი, რომელიც გვასწავლის წერა-კითხვას, ანგარიშს და სხ. თავისუფალ დროს გვიკითხავს გაზეთებს და წიგნებს, გვიხსნის ჩვენთვის გაუგებარ საგნებს. ლენინის კუთხე მშვენივრად გვაქვს მოწყობილი, რაც მიეწერება ამხ. დიანოვის დაუღალავ შრომას. მადლობის ღირსია ასეთი მეთაური.

წ. არმ. ვ. მაღალდაძე.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## ქ. სამხედრო პოლიტსკოლის საქმიანობა.

მესამე თვე სრულდება რაც რომ ჩვენი სკოლა იმყოფება საზაფხულო ბანაკში.

ამ ხნის განმავლობაში სკოლამ შესძლო მეტის გაკეთება, ვინემ უნდა გაეკეთებია ზაფხულის პერიოდში, როგორც პოლიტგანათლების ფრონტზე, ისე სამხედრო საქმეშიაც.

კურსანტები გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ მეცადინეობას. მასთან ღებულობენ მხედველობაში იმასაც, რომ მათ გამოშვებამდე დარჩა მხოლოდ ერთი წელი.

აი სწორეთ ამიტომ კურსანტები შეუდგენ ენერგიულ მეცადინეობას.

ლექტორებსაც არ შურთ რომ ზედმეტი ენერგია დახარჯონ ამ მიზნისათვის, და ყოველგვარ დახმარებას უწევენ კურსანტებს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის კოლექტიური მეცადინეობა, რომელიც სწარმოებს უფროს კურსში.

ხსენებული კურსი დანაწილებულია ჯგუფებათ. ეს ჯგუფები ამზადებენ გაკვეთილებს კოლექტიურათ, რაც იძლევა კარგ შედეგებს.

ასეთი სისტემატიური მეცადინეობით ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწევთ მომავალში.

გარდა პოლიტიკურ და სასკოლო მეცადინეობისა კურსანტები დიდ ყურადღებას აქცევენ სამხედრო საქმესაც. სამხედრო საქმის თითქმის ყველა დარგებს, კურსანტები კარგად ითვისებენ.

ამ დარგში სათანადოთ დახელოვნებული აღმზრდელები კარგი გვყავს.

მდივალიანი.

იქნა ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ", თუ რა მნიშვნელობა აქვს და დანიშნულება ზემოხსენებულ ლოზუნგის, მესამე, გარჩეულ იქნა: ერთად წარმოიშვა „კაპიტალისტი და პროლეტარი" თუ ცალ-ცალკე. მეოთხე, გარჩეულ იქნა მე-14 პარტკონფერენციის მუშაობის შედეგები.

ასეთივე ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს საკოოპერაციო წრე, რომელსაც მტკიცე კავშირი აქვს ცეკავშირთან. ცეკავშირი დიდ დახმარებას უწევს წრეს, სათანადო ლიტერატურით. ცეკავშირის წარმომადგენელის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება საკოოპერაციო წრეში.

ნაყოფიერად მუშაობენ ლიტწრე და დრამ-წრეც. ეს უკანასკნელი ხშირად მართავს საღამოებს და სხვა და სხვა გასართობებს.

ყველა ამ წრეების მუშაობა მტკიცეთ არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რაც გვაძლევს სათანადო ნაყოფს.

იომე.

## ჩვენი მუშაობა.

პირველი ლეგიონი.

ჩვენს ნაწილში ყველა დარგის მუშაობა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, რაც უნდა მიეწეროს ჩვენი უფროსების ენერგიულ და თავდადებულ მუშაობას.

ასეთმა კარგმა მუშაობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო: ყველა წითელ არმიელი ეხლა კარგი მცოდნეა წერა კითხვის და კარგათ შეითვისა სამხედრო და პოლიტიკური საქმე.

ჩვენს ნაწილში კარგათ მუშაობენ აგრეთვე შემდეგი წრეები: პოლიტიკური, კოოპერატიული, ლიტერატურული, დრამატიული, ფიზკულტური, და სხ.

ჩვენს ნაწილში არ არის არც ერთი წითელ არმიელი, რომელიც დაინტერესებული არ იყოს ზემოხსენებულ წრეების მუშაობით და ამიტომ ყველა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მის მუშაობაში.

წითელ-არმიელები დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ და კარგად მომზადებული დაბრუნდენ უვადო შვებულებაში, თავთავიანთ სოფელში სამუშაოთ.

პარტკორი გ. კოპალეიშვილი.

## წრეების მუშაობა ნაყოფიერია.

1-ლი ლეგიონი.

1-ლ ლეგიონის კლუბთან არსებობს სხვა და სხვა წრეები. წრეებმა რამოდენიმე ხნის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ შესძლეს თავიანთი ნაკლის გამოსწორება და დღეს მათ აიღეს უკვე მუშაობის სწორი გეზი. წ. ა. მასის ყურადღებას თავისი მუშაობით იქცევს შემდეგი წრეები: პოლიტ-წრე, საკოოპერაციო წრე, ლიტ-წრე და დრამ-წრე.

ამ წრეების მუშაობით დიდათ დაინტერესებული არიან წ. არმიელები, თანდათან იზრდება წრეების წევრთა რიცხვი. წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ წამოჭრილ საკითხების გარჩევაში.

წრეებს ურთიერთ შორის მტკიცე კავშირი აქვთ. მტკიცე კავშირი აქვთ აგრეთვე ლენკარვებთან, სადაც სწარმოებს პირველ დაწყებითი მუშაობა წრეების გაძლიერების მიზნით.

წრეებს ყავს თავისი ბიურო, ყავთ ხელმძღვანელი, დანიშნული აქვთ სამეცადინო დღეები, აქვთ სამუშაო გეგმა კლუბის გეგმასთან შეთანხმებით და სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა. ირჩევა წრეებში სხვა და სხვა საინტერესო საკითხები.

კითხვებს აყენებენ თვით წრის წევრები. მაგალითად პოლიტწრემ რამოდენიმე თავის მეცადინეობის დროს გაარჩია შემდეგი საკითხები: „ჩინეთის მოძრაობა ეროვნული განთავისუფლებისათვის", გარჩეული

## არ ვარგა ასეთი მეკუჭნავე.

პირველი ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის საკავშირო ასეულში არის მეკუჭნავედ ამხ. თოფურია, რომელიც ყველას უხეშად ეპყრობა.

არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მასთან მისული წითელი მოლაშქრე რაიმე საჭიროებისათვის, მას უშვერი სიტყვებით არ გაესტუმრებიოს. ამასთანავე ერთად ის უკადრისობს ამხანაგობას წითელ არმიელებთან. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება ჩვენი ნაწილის უფროსებმა და ასწავლონ ამხ. თოფურიას თუ როგორ უნდა მოეპყრას წითელ არმიელებს.

მ. ბედია.

## მოგვაქციეთ ყურადღება.

1-ლი ლეგიონი.

1-ლ ლეგიონის მე-6 ასეულის წითელ არმიელებს ფეხსაცმელები ჯერაც არ შეუკეთეს. სხვა ასეულებში კი ეს საქმე უკვე მოაგვარეს. ნუთუ ჩვენთვის გაჭირდა ეს?

ისე გახდა ფეხსაცმელები, რომ მათი შეკეთებაც გაჭირდება აწი. წითელ არმიელებს ხშირად უხდებათ მანევრებზე წასვლა, მაგრამ ფსკერ-გამოვარდნილ ფეხსაცმელებით სიარული პირდაპირ შეუძლებელია. მასთან ტანისამოსის დასაკერებელი მატერია ყველას მიღებული აქვს, ჩვენთვის კი ასეთი არ მოუციათ.

დრო არის რომ ამას აწიმაინც მიაქციონ ყურადღებას და მოგვცენ ტანისამოსის დასაკერებელი მატერია და ფეხსაცმელები.

სამხკორი ნაჯახოველი.

## არ ტარდება სანიტ საათები.

მე-5 ლეგ. 1-ლი ათასეული.

1-ლ ათასეულში არა გვყავს სანიტ. საათის ჩამტარებელი ექიმი. მთელი ორი თვის განმავლობაში მხოლოთ ორჯერ იყო ამ თემაზე საუბარი.

მიაქციეთ ამას ყურადღება და მოგვეცით სანიტ-საათები.

სამხკორი ალგიჯო.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-5 ლეგიონის პირველ ათასეულის კომუჯრედში

პირველ ათასეულის კომუჯრედის პარტიულ დღეთ. ითვლება ხუთშაბათი. კრება ხდება თვეში სამჯერ. ჩვენს უჯრედზე მომაგრებულია რკინის გზის უჯრედის წარმომადგენელი. რკინის გზის უჯრედთან ერთად ხდება თვეში ერთხელ კრება. სხვა უჯრედებთან კარგი კავშირი გვაქვს. უჯრედის გავლენა წითელ არმიელებზე დიდია. პარტიაში შემოსვლელთა მსურველნი წითელ არმიელ თა შორის მრავალია.

14 აგვისტოს მოხდა უჯრედის ღია კრება, რომელსაც როგორც პარტიული, ისე უპარტიო წითელ არმიელებიც დაესწრენ. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. გერმანიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლის მნიშვნელობა, 2. მეორე ასეულის მდგომარეობა, 3. განცხადების განხილვა და 4. მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჯოხიძემ, რომელმაც აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა ქონია გერმანიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლას საბჭოთა კავშირში საერთაშორისო პროლეტარიატის საქმისათვის. ასეულის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ობოლაძე, რომელმაც გააცნო კრებას ასეულის უარყოფითი და დადებითი მხარეები. შემდეგ გაირჩა ერთი ამხანაგის განცხადება კომკავშირში შესვლის შესახებ, რომელიც კრების მიერ მიღებულ იქნა.

პარტკორი ალგიჯო.

# ახალი ამბები.

— ლიფტი არაზინდოში. სანატორიუმ არაზინდოს დირექციამ შუამდგომლობა აღძრა არაზინდოს შენობაში ლიფტის მოწყობის შესახებ (ლიფტი- ზემო სართულებზე ასასვლელი მანქანაა).

ტრამვაის ახალი ხაზის გასაყვანათ სომხის ბაზარზე ტფილისის აღმასკომის მიერ გადადებულია ჯერ-ჯერობით 150. ათასი მანეთი.

— წყალსადენის სახელოსნოს გადასაკეთებლათ ტფილისის აღმასკომმა გადასდო 10 ათასი მანეთი.

— ზოოტეხნიკური სადგური. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა სასწრაფოდ შეუდგეს ზოოტეხნიკური სადგურის აგებას.

— ტფილისის მაზრაში მომავალ წელში გზების შესაკეთებლათ ტფილ. აღმასკომს განზრახული აქვს გადასდოს 133.350 მანეთი.

— გლეხკომების რიცხვი საქართველოში ამჟამად უდრის 1890 (სვანეთის გარდა).

— მეცხვარეობის გამოკვლევა. მ. გ. ინსპექციის კომისია ამ დღეებში მიემგზავრება დუშეთის მაზრაში მეცხვარეობის გამოსაკვლევად.

— სას.-სამ. გადასახადის აკრეფა ამიერ-კავკასიაში უკვე დაიწყო. საქართველოში მოკრეფილ გადასახადიდან ადგილობრივ საშუალებათა გასაძლიერებლათ გადარიცხულ იქნება 800 ათასი მანეთი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## მიწის ძვრის სურათის გადაღება რადიოთი.

სანტა-ბერბარაში (ამერიკ. შერთ. შტ. წყნარ ოკეანის სანაპიროებზე) მომხდარ მიწის ძვრის ფოტოგრაფიული სურათები მიღებულ იქნა ნიუ-იორკის გაზეთების მიერ რადიო-ტელეფონის საშვალებით, მიწის ძვრის შემდეგ 4 საათის განმავლობაში.

მიწის ძვრის მეორე დღეს გამოშვებულ გაზეთების მთელი გვერდები სავსე იყო ასეთი რადიო -- ტელეფონის საშვალებით გადაღებულ სურათებით.

**ამუნდსენის მოგზაურობა კინოზე.**

სტოკჰოლმში (შვეციის დედა ქალაქია) ხდება კინო სურათების გადაღება ამუნდსენის მოგზაურობაზე პოლიარულ ქვეყნებში.

ლენტის სიგრძე იქნებმა 3. 000 მეტრი, რომლიდანაც 500 მეტრი გადაღებულია პოლიარულ ყინულებში ჰეროპლანის დაშვების ადგილას. ლენტი ასურათებს ჰაეროპლანების გადასარჩენად წარმოებულ მუშაობას და სავსეა ნამდვილი სამწუხარო სურათებით.

შემოდგომის დასაწყისში ლენტი მზად იქნება და დაიწყებს მოქმედებას კინო-თეატრებში.

# გუშაგის სიმღერა.

მე ვარ და ჩემი ფარაჯა
გამთენებელი ღამისა,
მშრომელთა სადარაჯოზე
გუშაგი ყოველ წამისა—

ხელთ მიჭერია შაშხანა—
ზარ მცემი ყოველ მტერისა,
თავისუფლების ბრძოლაში
ზურგზე ამდენი მტვერისა;

წითელი დროშის დაცვაში
თვალი არ დამეხუჭება,
ვინც მომინდომებს შეტევას
იმედი ჩაეფუშება.

შენი ჰირიმე წითელო
ყაზარმავ, ჩემო სკოლაო,
ეხლა დედასაც უხარის
ნასწავლი შვილის ყოლაო.

ის აღარა ვარ რაც ვიყავ,
ფრთხილად, ჯალათნო ყველაო.
საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს
ჩემგან მოელის შველაო.

მე ვარ და ჩემი ფარაჯა
გამთენებელი ღამისა,
მშრომელთა სადარაჯოზე
გუშაგი ყოველ წამისა...

სამხკორი წაბლის ხე.

# ნარევი.

## პანების ძალა—პოლიციაშია.

პოლიციელთა რაოდენობის მიხედვით პირველ სახელმწიფოთ ქვეყანაზე ითვლება პოლონეთი, ამასთანავე ეს რიცხვი პოლიციელებისა დღევანდლამდე განაგრძობს ზრდას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი ბიუჯეტიდან— 206.875.634 ოქროდან— 159.474.170 იხარჯება მხოლოდ პოლიციელებზე. 1924 წ. პოლონეთში ითვლებოდა 47.557 პოლიციელი, 1925 წ.კი თითქმის—62.000.

**უმაღლესი რკინის გზა.**

ნორვეგიაში დამთავრდა მთელს ქვეყანაზე უმაღლესი რკინის გზის გაყვანა. ეს გზა აერთებს ქრისტიანიას (ნორვეგიის დედა ქალაქია) ქ. ბერგენთან და გადის 4.000 ფუტის სიმაღლეზე (ზღვის დონიდან) მუდმივი თოვლის ზოლში.

ამ გზაზე მომქმედ ორთქლმავლებს წინა ნაწილზე აქვთ მოწყობილი მბრუნავი თოვლის საწმენდი, რომელიც სწმენდს საათში თოვლს 16 მილის სიგრძეზე.

**ზღვის გმირი.**

საფრანგეთში ყოველწლიურად ხდება საპატივცემო შეხვედრა ზღვის გმირის ე. ი. ადამიანის, რომელმაც გადაარჩინა უკანასკნელი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი რიცხვი დახრჩობილების.

წრეულს ასეთ ზღვის გმირად ცნობილია 63 წლის კაპიტანი არმან გუნი. მთელ თავის სიცოცხლეში გუნმა გადაარჩინა 1.000 მეტი ადამიანი. ის მუშაობს დამხრჩვალების გადასარჩენად უკვე 49 წელი.

**ამერიკულად.**

დიდი ხანი არ არის რაც დეტროიტში (მიჩიგანის შტატი) მოხდა, პირველად მთელს ქვეყანაზე ჯვარის-წერა ჰაერში. მფრინავ პოტერის გამგზავრებისას ხანგრძლივ საჰაერო მოგზაურობაში, როდესაც ჰაეროპლანი უკვე მოშორდა დედა მიწას, ამ დროს მიფრინდა მასთან მეორე ჰაეროპლანით პატარძალი, ნოტარიუსი და პასტორი (კატოლიკ. მღვდელი). პასტორმა დაიყვირა რუპორში ღვდელ-მსახურების სიტყვები, ნოტარიუსმა მოახდინა ჩაწერა და ჯვრის წერაც დამთავრდა.

# სიმართლის აღსადგენათ.

## პირველი ლეგიონი.

გაზეთ „წითელ არმიელი-“ს № 180-ში ამხ. „ძველის“ მიერ მოთავსებული იყო წერილი პირველი ლეგიონის სამნეო გუნდიდან სათაურით „მყვირალა დალაქი.“ ამხ. ძველი თავის წერილში ამბობდა, მიუხედავად იმისა, რომ „დალაქი განთავისუფლებულია სხვა ყოველივე საქმიდან, გარდა პირის პარსვისა, ის მაინც ცუდათ ასრულებს თავის მოვალეობას და უყვირის მოსაპარსავად მისულ წ. არმ.“ ამაზე პასუხი გასცა ამხ. მხილაძემ, რომელიც გამოდის დალაქის დამცველათ და აცხადებს, რომ „დალაქს გარდა პირის მოპარსვისა სხვაც ბევრი საქმეები აქვს. ისიც, როგორც სხვა წითელ არმიელები განწესებაში გადის“ და სხვ.

ეს თავიდან ბოლომდი სიმართლეს მოკლებულია, შეიძლება დალაქი განწესებაში გავიდა რაიმე დანაშაულობის გამო, თორემ ისე ის თავისუფალია. მართალია, დალაქს სხვა საქმეებიც აქვს, მარა ეს მისი კერძო საქმეა და არა საზოგადო. ის როგორც დალაქი, აგრეთვე მკერავიც ყოფილა, რომელიც ამ უკანასკნელს უფრო მეტ დროს ანდომებს, ვინემ პირველს. ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან აქედან შემოსავალი აქვს და დალაქობიდან კი არაფერი. გაზეთში მოთავსებულ წერილის შემდეგ ხსენებულმა დალაქმა სულ მიანება თავი დალაქობას და მიყო ხელი კერვას.

ამხ. მხილაძეს კი ურჩევთ ეცადოს მუდამ სწორი ცნობები მიაწოდოს სადაც ჯერ არს.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და სამნეო გუნდის წითელ არმიელებს მოგვეცეს დალაქი.

სამხკორი გ. გოგიტიშვილი.

# პასუხად ამხ. „ილი-“ს.

## 1-ლი არტლეგიონი.

გაზეთ „წითელ არმიელი-“ს № 180-ში მოთავსებული იყო წერილი წით. არმიელ „ილის“ მიერ სათაურით: „ფერშალი არ ასრულებს თავის მოვალეობას“.

ამხ. „ილი“ სწერს არტლეგიონის საყარაულო გუნდის ექიმის თანაშემწის მიერ თავის მოვალეობის შეუსრულებლობაზე, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ როდესაც ავადმყოფები მოდიან ქსენონში ვითომც მე არ ვხვდები მათ იქ და ქსენონის კარი მუდამ დაკეტილია.

რატომ დასჭირდა ამხ. „ილის“ რედაქციის და მკითხველების შეცდომაში შეყვანა.

არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მე არვყოფილიყო ქსენონში გარდა ორი შემთხვევისა, როდესაც მე ვიყავი წასული ავადმყოფების მიღების შემდეგ სააფთიაქო საწყობში წამლების მისაღებათ. ეს კი არ ნიშნავს იმას რომ მე არას დროს ქსენონში არ ვარ და ქსენონის კარი ყოველთვის დაკეტილი იყოს.

რაც შეეხება იმას თითქოს მე დილიდან საღამომდე ქსენონში უნდა ვიყო-ეს არ არის სწორი და ვერც ამას კანონი დამავალებს.

უნდა მოვაგონო ამხ. „ილი“-ს რომ არსებობს წესი და განსაზღვრული დრო ავადმყოფთა მიღების. ეს ყველამ უნდა იცოდეს და მით უფრო ამხ. „ილიმ“

რაც შეეხება სასწრაფო დახმარების აღმოჩენას, ამისთვის კი არის მორიგე ექიმის თანაშემწე.

ასე რომ ჩემი სამსახურის საათების ასრულების შემდეგ თუ თქვენ ქსენონში არავინ დაგიხვდათ მე აქ არაფერ შუაში ვარ.

რაში გამოიხატება ჩემი სამსახურის შეუსრულებლობა ჩემთვის გაუგებარია. მე ყოველ დღე ქსენონში ვარ 8 ნახ. საათი.

საჭიროა ამხ. „ილი“, წერილის წერის დროს იხელმძღვანელოთ სწორი ფაქტებით და არა ყურმოკრულ ჭორებით.

ექიმის თანაშემწე ჯიქიძე.

# ვის აქვს საწინაალმდეგო?

პოლიტ-განის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამხ. გრიგორი დავიდოვს პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვისმეს აქვს საწინაალმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ 26 აგვისტომდე პოლიტ-განის კომუჯრედში.

კომუჯრედის ბიურო.

---

ქ. სამ. პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ა. ლ. ძ. კავშირის წევრებს: 1. ცქიფურიშვილი მიხეილ, 2. რუსაძე თედორე, და კ. პარ. წევრად მიღების შესახებ კ. პ. კანდიდატებს: 1. არუთინოვი სიმონი, 2. დიასამიძე დავითი, 3 მეზვრიშვილი პეტრე. ქ. სამ. პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედი გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები ზემო აღნიშნულ ამხ. ამხ. შესახებ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო.

კომ-უჯრედის პ. მ. მდ. ვლ. კიკალიშვილი.

---

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ოცისთავის თანაშემწეს, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს, ამხ. გიორგი ევტიხის ძე ფოცხიშვილს. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინაალმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის მე-10 კომუჯრედში.

---

მე-6 ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ, მიღების შესახებ მე-7-ასეულის მამასახლის ამხ. გრიგორი ივანესძე რობაქიძეს, მცხოვრები სენაკის მაზრის, სოფელ შხეფის. თუ ვინმეს აქვს საწინაალმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6-ტერლეგიონის მე-3-ე ათასეულის მე-9-ე კომუჯრედში.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ჟ. ს. ფ. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.